

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა ხელმისაწვდომობა
სექსუალურ და რეპროდუქციულ უფლებებზე - ეროვნული და
საერთაშორისო კანონმდებლობისა და პრაქტიკის შედარებითი ანალიზი

ნუცა მაზანაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართლისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ გურჩიანი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნუცა მაზანაშვილი

02.07.2022 წელი

აბსტრაქტი

დღეს, მსოფლიო შეთანხმებულია, რომ შშმ პირებისთვის სექსუალური და რეპროდუქციული უფლებები მოწესრიგებული უნდა იყოს. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში, მისი განხორციელება ბევრი წინააღმდეგობის გამო შეუძლებელი ხდება. ჯანდაცვის რესურსებზე ხელმისაწვდომობა, სერვისის გამცემებსა და ოჯახში არსებული სტიგმა - ესაა მწვავე მიზეზები იმისა, რომ შშმ ქალებს ერთმევათ თვითგამორკვევის და გადაწყვეტილების მიღების თავისუფლება, რაც შედეგად ზემოხსენებული უფლების დარღვევას იწვევს.

წინამდებარე ნაშრომმა წარმოაჩინა ის პრობლემები, რასაც შშმ ქალები აწყდებიან საკუთარ სხეულზე გადაწყვეტილების მიღების დროს. კვლევა ასევე მოიცავს მძიმე პრაქტიკებს, რომლებსაც იძულების ღონისძიების სახელით ვიცნობთ (სტერილიზაცია, აბორტი). გარდა ამისა, მიმოხილულ იქნა ხარვეზიანი საკანონმდებლო ჩარჩო, რაც ხელმისაწვდომობის პრობლემას ზრდის. დამატებით, წარმოდგენილია უცხოური წარმატებული მეთოდები, რასაც საქართველომ აუცილებლად უნდა მიბაძოს.

საბოლოო ჯამში, ნაშრომში დადგინდა, რა რეფორმებია გასატარებელი იმისათვის, რომ შშმ ქალებისთვის არსებული მდგომარეობა ოდნავ მაინც შემსუბუქდეს, დაიბრუნონ ავტონომიურობა და გახდნენ ნაკლებად მარგინალიზებულნი. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი, რომ ითქვას - შშმ ქალები ტიპური განვითარების პირების თანასწორნი არიან.

მოცემული დოკუმენტი მიზნად ისახავს ალტერნატივების შემოთავაზებას, რაც პრაქტიკაში შეზღუდული შესაძლებლობისა და გენდერის ნიშნით დისკრიმინაციას აღმოფხვრის.

სამიუბო სიტყვები: შშმ ქალი, სექსუალური და რეპროდუქციული უფლება, ავტონომიურობა, ხელმისაწვდომობა, სტიგმა, იძულების ღონისძიება.

Abstract

Today, the world has agreed that sexual and reproductive rights for persons with disabilities must be regulated. Nevertheless, in practice, its realization becomes unfeasible due to many obstacles. Access to healthcare and the stigma attached to service providers and the family - are the main reasons women with disability are deprived of their freedom of self-determination and decision-making, resulting in an abuse of the abovementioned right.

The given paper presents the problems that women with disabilities face when making decisions about their bodies. The research includes brutal practices known as coercive measures (sterilization, abortion). In addition, a flawed legislative framework has been reviewed, which increases the problem of accessibility. With that, successful foreign methods are presented, which Georgia should imitate.

Finally, the document identifies what reforms need to be undertaken to alleviate the situation for women with disabilities at least slightly, regain autonomy, and become less marginalized. Only then will it be possible to say that women with disabilities are equal to those persons of typical development.

This research aims to offer alternatives that eliminate discrimination based on gender and disability in practice.

Key Words: Woman with disabilities, sexual and reproductive rights, autonomy, accessibility, stigma, coercive measures.